,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ" რექტორის 2016წლის 1 ივნისის №117/01-01 ბრძანების და ,,სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივრსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2016 წლის 1 ივნისის 116/01-01 ბრძანებების საფუძველზე განათლების დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 25 ივლისის №80/2016 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

ოქმიN3

ქ. თბილისი 12 აგვისტო 2016 წელი

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი - 1. რუსუდან სანაძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. ნესტან ჩხიკვაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ნინო ჩახუნაშვილი (კომისიის მდივანი); 4. რუსუდან ჩიქოვანი; 5. ნათელა ფარცხალაია;

დღის წესრიგი:

,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ" რექტორის 2016წლის 1 ივნისის №117/01-01 და,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ" რექტორის 2016 წლის 1 ივნისის 116/01-01ბრძანებების საფუძველზეგამოცხადებულ კონკურსში **მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და მისი დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კენჭისყრის ჩატარება.**

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის რუსუდან სანაძისა და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე გასაუბრებაზე კონკურსანტის გამოსვლის შედეგები.

კომისია ასევე გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს და შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტების ზაქარია ქიტიაშვილისა და ეფემია ხარაძის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა:

1. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ზაქარია ქიტიაშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.
2. განათლების მეცნეირებათა დეპარტამენტში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ეფემია ხარაძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა – 5, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებ გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: რუსუდან სანაძე

კომისიის მდივანი: ნინო ჩახუნაშვილი